

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მნიშვნელობა სამედიცინო
მომსახურების სფეროს ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის
სრულყოფაში

სოფიო კუკავა

სალომე სალაყაია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ქეთევან გოგინაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.

სოფიო კუკავა, _____

სალომე სალაყაია, _____

26.06.2017

აბსტრაქტი

აბსტრაქტის ტექსტი ქართულ ენაზე

მსოფლიოში ჯანდაცვის სისტემას აქვს უამრავი გამოწვევა და სირთულეები. განსაკუთრებული გამოწვევების წინაშე დგას განვითარებადი ქვეყნები. ყოველწლიურად იზრდება ჯანდაცვის სისტემის დანახარჯები. ჯანდაცვის სისტემის სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე სამედიცინო სერვისებზე დანახარჯები აღემატება ქვეყანაში ეკონომიკური ზრდის ტემპს.

მრავალი ქვეყნის გამოცდილების გათვალისწინებით სამედიცინო მომსახურების სფეროში ორგანიზაციულ-ეკონომიკური სისტემის სრულყოფაში ერთერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სახელმწიფოს და კერძო სექტორის თამაშრომლობას. ასეთი ტიპის თანამშრომლობა მნიშვნელოვან შედეგს უზრუნველყოფს სახელმწიფოს დანახარჯების ეფექტიანობის ამაღლების, სამედიცინო სერვისებზე მაღალი დანახარჯების თავიდან აცილების, სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის და სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მნიშვნელობის განსაზღვრა, არსებული თამაშრომლობის ფარგლებში განხორციელებული პროექტების შედეგად მიღწეული შედეგების ანალიზი და სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარების პოტენციალის შეფასება.

კვლევის მეთოდოლოგიური საფუძველია სახელმწიფო - კერძო პარტნიორობის ფარგლებში არსებული უცხოური და ქართული ლიტერატურის მიმოხილვა, საქართველოში შრომის ჯანმრთელობის და სოციალრი დაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული საკანონმდებლო აქტები, სახელმწიფო - კერძო პარტნიორობის შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილებები.

კვლევის მეთოდოლოგია მოიცავს ჩადმავებულ ინტერვიუებს დარგის სპეციალისტებთან და საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებთან.

საძიებო სიტყვები: სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა; ჯანდაცვის სისტემა; სამედიცინო მომსახურების სფერო; ორგანიზაციულ - ეკონომიკური სრულყოფა; სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა; სამედიცინო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; სახელმწიფოს დანახარჯების ეფექტიანობის ამაღლება.

Abstract

The text of the abstract in English

Healthcare care system in the world has a lot of challenges and complexity. The developing countries face special challenges. The expenses of healthcare system annually increase. According to the specific nature of the healthcare system, the expenses of medical service exceeds the speed of economic growth of the country.

Considering experiences of various countries, cooperation between the state and private sector takes one of the most important place in improvement organizational and economic systems in the field of medical services. Such a cooperation will have significant result on increasing the efficiency of the state expenses, avoiding high expenses on medical services, accessibility to medical services and improvement of infrastructure of the medical institutions.

The goal of the above-mentioned study is to identify the importance of public-private partnership in the healthcare system, analyze the results achieved by the projects carried out within the cooperation and assess the potential of public-private partnership.

The methodological fundamentals of the study are the review of Georgian and foreign literature about public-private partnership, the legal acts issued by the Ministry of Labor, *Healthcare* and Social Affairs of Georgia and regulations of the Georgian government about the public-private partnership.

The research methods include interviews with the field specialists and the representatives of various departments of the Ministry of Labor, *Healthcare* and Social Affairs of Georgia.

Key Words: public-private partnership; healthcare system; field of medical service; improvement organizational and economic systems; accessibility to medical services; improvement of the infrastructure of medical institutions; Increase of efficiency of state expenses.